რა უნდა იყოს ისეთი, რაც მთელ ოთახს გაავსებს და თანაც, მხოლოდ ერთ მონეტად შეგიძლია იყიდო?

წაიკითხე და გამოიცანი, როგორ მოახერხა ჭკვიანმა შეგირდმა ოსტატის რთული დავალების შესრულება.

ყველაზე ჭკვიანი შეგირდი

(ზღაპარი-გამოცანა)

ერთ მოხუც ოსტატს[1] სამი შეგირდი[2] ჰყავდა, რომლებსაც წერა-კითხვას ასწავლიდა. სამივე შეგირდი ბეჯითად სწავლობდა და მალე მასწავლებელს ტოლს არ უდებდნენ დიდი წიგნების კითხვაში.

ოსტატი რომ მოხუცდა, შეგირდები დაიბარა და უთხრა:

– უკვე ძალიან მოვხუცდი, ამიტომ გადავწყვიტე, თქვენ შორის ყველაზე ჭკვიანს ოსტატის წოდება გადავცე. ახლა ერთ დავალებას მოგცემთ და ვინც საუკეთესოდ შეასრულებს, ოსტატიც ის გახდება.

მან შეგირდებს თითო ცალი მონეტა დაურიგა და უთხრა:
– წადით ბაზარში და ამ ფულით ისეთი რამ იყიდეთ, რაც ამ ოთახს მთლიანად გაავსებს.

---

[1] ოსტატი – რაიმე ხელობის კარგად მცოდნე

[2] შეგირდი – იგივეა, რაც მოსწავლე

შეგირდები მიჩვეული იყვნენ ოსტატისგან ასეთ დავალებებს. მას ხშირად უყვარდა მოსწავლეების გამოცდა.

წავიდნენ ბაზარში. ერთმა შეგირდმა მონეტით ერთი დიდი ტომარა ქერი იყიდა, მეორემ — ბუმბულით სავსე სამი დიდი ტომარა. მესამემ ორი პატარა ნივთი შეიძინა. ნივთები ერთ ჯიბეში ჩაიწყო, ხურდა კი — მეორეში.

ამასობაში მოსაღამოვდა. შებინდებისას შეგირდები ისევ ოსტატთან შეიკრიბნენ. პირველმა შეგირდმა ქერით სავსე ტომარა შემოიტანა და ქერის მარცვლები ოთახში მოაბნია. ქერმა იატაკის ნახევარი დაფარა. მეორემ სამი ტომარა ბუმბული შემოიტანა. ტომრები გახსნა და ბუმბულები ოთახში მიმოფანტა. ბუმბული ჯერ აფრიალდა, მერე დაბლა დაეშვა და იატაკის დიდი ნაწილი დაფარა.

დადგა მესამე შეგირდის ჯერიც. მან ჯერ მიღებული ხურდა ფული დაყარა მაგიდაზე. მერე ჯიბიდან ორი ნივთი ამოიღო და ისეთი რამ გააკეთა, რომ მთელი სახლი გაივსო.

ოსტატმა სიხარულით შესძახა:
– ყოჩაღ, ჭკვიანი ბიჭი ხარ! ჩემი დავალება ყველაზე კარგად შენ შეასრულე!

მერე კი მესამე შეგირდს ოსტატის წოდება უბოძა.

აბა, გამოიცანი, რა მოიტანა მესამე შეგირდმა და რა გააკეთა მან?

კლასი: **3-4**, ტექსტის ტიპი: **მხატვრული, თხრობითი**

USAID საბაზისო განათლების პროგრამის პატარა საკითხავების სერია

მომზადებულია ვებპორტალის „კარგი სკოლა“ მასალის მიხედვით.